

<b>ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება აგრარული ტექნოლოგიები</b>	
	<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>
	240
	<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>
	აგრონომიის ბაკალავრი (Bachelor of Agronomy)
	<b>სწავლების ენა</b>
	ქართული
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>
	პროგრამის მიზანია მოამზადოს აგრარული ტექნოლოგიის დარგის ბაკალავრი, რომელსაც ექნება აღნიშნული დარგის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა. შეეძლება სოფლის მეურნეობაში მიღწევების და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და სოფლად სიღარიბის დაძლევას, რაც ქვეყნის სტრატეგიულ ხედვას წარმოადგენს.
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b>
	<b>ცოდნა და გაცნობიერება</b> – აგრარული ტექნოლოგიების ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას; ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების ცოდნას; ბიოლოგიის ფუნდამენტური, ძირითადი პრინციპების ცოდნას; მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური პროცესების ცოდნას; ნიადაგის ტიპების, სტრუქტურის, დამუშავების ხერხების, ნაყოფიერების და მისი ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების პრინციპების ცოდნას; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებების და სარეველების გავრცელების პროგნოზირებასა და მათი მოქმედების წინააღმდეგ ინტეგრირებული ბრძოლის ღონისძიებების ცოდნას; დარგში გამოყენებულ აპარატების, მანქანა-



დანადგარების მოქმედების პრინციპების, ტექნიკური და ტექნოლოგიური თავისებურებების ცოდნას; აგრონომიაში კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას;

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – აგრარული წარმოებისათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად: ნაკვეთისა და კულტურის შერჩევას, აგრარული წარმოების საკვები სავარგულების ზედაპირულ და ძირეულ გაუმჯობესებასა და რაციონალური გამოყენების, დადგენილი აგროტექნიკური ღონისძიებების ოპტიმალურ კალენდარულ აგროვადებში ჩატარებას; თესლბრუნვების სისტემის შედგენის, ნიადაგის დამუშავების, თესვისა და რგვის სამუშაოების ჩატარების, მინდორში და ბაღში ნიადაგის დამუშავების, განოყიერების, მელიორაციის, მოვლა-მოყვანის აგროტექნიკის, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების, მოსავლის აღების და აღების შემდგომი დამუშავების და დაფასოების ორგანიზების, მანქანა-დანადგარების მოქმედების პრინციპების, ტექნიკური და ტექნოლოგიური თავისებურებების უსაფრთხო ექსპლუატაციის, ტექნოლოგიური პარამეტრების დაცვის უნარი. კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

**დასკვნის უნარი** – შეეძლება, აგრარული ტექნოლოგიისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა ან/და სიტუაციების ანალიზის, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; შეეძლება, ტექნოლოგიის ცალკეული სტადიების ოპტიმალური შეფასება, რეაგირება, ხარისხობრივი და რენტაბელური მაჩვენებლებიდან გამომდინარე პრობლემის იდენტიფიცირება, ფორმულირება და შესაბამისი დასკვნის გაკეთება. შესაბამის ტერმინოლოგიაზე დაყრდნობით სპეციალობის საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება. არსებული ლიტერატურიდან და ელექტრონული წყაროებიდან ექსპერიმენტული მონაცემებისა და ინფორმაციის მოძიების უნარი და ამის საფუძველზე ადეკვატური და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა;

**კომუნიკაციის უნარი** – შეძლებს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;



	<p><b>სწავლის უნარი</b> –შემღებს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას; თავისი შესაძლებლობების შეფასებას, დროის მაქსიმალურად და ეფექტურად გადანაწილებას.</p> <p><b>ღირებულებები</b> – აგრარულ სფეროში ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა, ყველა სახის პროფესიულ საქმიანობაში, კოლეგებთან თანამშრომლობით პროფესიასთან დაკავშირებული ფასეულობების, ეთიკური პასუხისმგებლობებისა და ღირებულებების დამკვიდრება.</p>
	<p><b>შეფასების წესი</b></p>
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით. დადებითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; - 5 - (სულ 17 გვ.)</li> <li>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;</li> <li>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;</li> <li>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;</li> <li>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასებებია:</li> <li>• (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</li> <li>• (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</li> </ul>
<p><b>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)</b> ნინო ლომიძე/ 599955935 / <a href="mailto:nilomidze@gtu.ge">nilomidze@gtu.ge/</a> სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. 0192 ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. № 17 კორპ. 11</p>	



<b>ბაკალავრიატი საგანმანათლებლო პროგრამა</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება აგროინჟინერია</b>	
	<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>
	240
	<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>
	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში (Bachelor of engineer/in agroengineering)
	<b>სწავლების ენა</b>
	ქართული
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>
	<p>მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, საინჟინრო განათლების საფუძვლების მქონე საპროექტო და პრაქტიკულ საექსპლუატაციო საქმიანობაზე ორიენტირებული აგროინჟინერი, რომელიც მყარი ბაზისური ცოდნითა და ტრანსფერული უნარებით შეძლებს დინამიკურად ცვალებად გარემოში ორიენტაციას, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით საპროექტო და საექსპლუატაციო საქმიანობის განხორციელებას, მოტივირებული იქნება პროფესიული თვალსაზრისით ღირსეული წვლილი შეიტანოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეძლებს სამელიორაციო სისტემების დაპროექტებისა და ექსპლუატაციის პროცესში რისკ-ფაქტორების გათვალისწინებას, თანამედროვე მეთოდის გამოყენებით მორწყვისა და დაშრობის პროექტის განხორციელებას.</p>
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b>
	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b> - ეცხოვრდება აგროინჟინერიაში საინჟინრო ამოცანების გადასაჭრელად მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ინფორმატიკის, დაპროგრამების საფუძვლების ფუნდამენტალური საკითხების გამოყენება; გრუნტების მექანიკა და ფუძე საძირკველები, სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები, ჰიდროლოგია, ჰიდრომეტრია, ჩამონადენის რეგულირების სახეები და გაანგარიშებანი. სამელიორაციო ჰიდროგეოლოგია, და</p>



	<p>ჰიდროეკოლოგია, სასოფლო-სამეურნეო გაწყლოვანება, ტუმბოების და სამელიორაციო სატუმბო სადურების დაპროექტების ძირითადი პროცესები; გააცნობიერებს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის საკითხების და ბუნებათადაცავი ღინისძიებების გატარების აუცილებლობას ქვეყნის სოცილურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b> - მორწყვისა და დაშრობის ახალი თანამედროვე მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება; წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მიწების მელიორირებასთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელება; სამელიორაციო ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება და ტექნიკური მდგომარეობის შეფასება; ჰიდრომელიორაციული სისტემების რეკონსტრუქციას და აღჭურვასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება; საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების დაპროექტება.</p> <p><b>დასკვნის უნარი</b> - აგროინჟინერიის საკითხების გადაწყვეტის დროს სხვადასხვა ინფორმაციული მასალების შეგროვება და განმარტებების გაკეთება; სიტუაციის ანალიზით მიღებული შედეგების შეჯერებით და სინთეზით, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი</b> - აგროინჟინერიის დარგში იდეების, არსებული პრობლემების და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; სპეციალისტებისათვის სამელიორაციო სისტემებზე არსებული მდგომარეობის შესახებ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებით ინფორმაციის გადაცემამოპოვება.</p> <p><b>სწავლის უნარი</b> - საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება; საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ, სწავლის საჭიროებების დადგენა და პროცესის გაგრძელება.</p> <p><b>ღირებულებები</b> - პროფესიული ეთიკის ძირითადი კანონების დაცვით მოქმედება; აგროინჟინერის პროფესიული ქცევის, ეთიკური პასუხისმგებლობის და ღირებულებების (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, ორგანიზებულობა და სხვა) დასამკვიდრებლად სწრაფვა.</p> <p><b>შეფასების წესი</b></p>
--	--



	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>(A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;</li> <li>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;</li> <li>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;</li> <li>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.</li> </ul> <p>• უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად • მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ • ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>შეფასების თითოეული ფორმასა და კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრულია კონკრეტული წილის საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60 და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა -40 მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა 30. მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება - 15 ქულა. შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულა 30. მინიმალური დადებითი შეფასება 7,5 ქულა. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა -40; მინიმალური დადებითი ქულა 10 ქულა, შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია თანდართული სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).</p>
<p><b>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)</b> მაია კუპრავიშვილი/ 591 913322/ <a href="mailto:kupravisvili@yahoo.com">kupravisvili@yahoo.com/</a>  სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. 0192 ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. № 17 კორპ. 11</p>	



<b>ბაკალავრიატი საგანმანათლებლო პროგრამა</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება აგრონომია</b>	
	<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>
	240
	<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>
	აგრონომიის ბაკალავრი (Bachelor of Agronomy)
	<b>სწავლების ენა</b>
	ქართული
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>
	პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი აგრონომიის დარგში, რომელიც საერთაშორისო მეცნიერული და სასწავლო სფეროში ინტეგრირების პირობებში, შეძლებს კონკურენციის გაწევას აგრობიზნესის სექტორში და იქნება ორიენტირებული მომხმარებლის საჭიროებებზე. ექნება პროფესიული, ჰუმანიტარული, სოციალური და ეკონომიური განათლება. შეეძლება აგრონომიის თანამედროვე მიღწევების გამოყენებით დანერგოს და განახორციელოს საკვები, მინდვრის, ბოსტნეული, მრავალწლიანი სასოფლო სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანა, მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად.
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b>
	<b>ცოდნა და გაცნობიერება</b> – პროფესიული აგრონომი უზრუნველყოფს მემცენარეობის პროდუქციის მოყვანის დაგეგმვას და ორგანიზებას. აგრონომს გააჩნია ცოდნა:
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მინდვრის, საკვებ, ბოსტნეულ, მრავალწლიან სასოფლო სამეურნეო კულტურების</li> <li>• მოყვანის თანამედროვე მეთოდების; ჯიშების, თესლის, სარგავი მასალების</li> </ul>



- ნიადაგის და მისი ნაყოფიერების;
  - სასუქების, ჰერბიციდების
  - სასოფლო სამეურნეო ტექნიკის შესახებ;
- იცის:
- მცენარეული სამყაროს განვითარების ბიოლოგიური კანონზომიერებანი;
  - მცენარის მორფოლოგიური და ანატომიური სტრუქტურები და მასში მიმდინარე
  - ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესები;
  - გააჩნია ცოდნა სათესი მასალების შესახებ და მათი ხარისხის შეფასების მეთოდები;
  - სასოფლო სამეურნეო კულტურების მოყვანის თავისებურებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ხარისხიანი მოსავლის მიღებას;
  - ნიადაგწარმოქმნის ძირითადი ფაქტორების, მორფოლოგიური ნიშნების, შედგენილობის და თვისებების, ნაყოფიერების და მისი ამაღლების გზების შესახებ;
    - სასოფლო სამეურნეო კულტურების მოთხოვნილება საკვებ ელემენტების მიმართ და მათი უზრუნველყოფა სასუქების მეშვეობით;
  - სასუქების გამოყენების მეთოდები და ნორმები, რომელიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო და ხარისხიანი მოსავლის მიღებას;
  - გააჩნია ცოდნა მიწათმოქმედებაში არსებულ თანამედროვე სისტემებზე, თესლბრუნვაზე;
  - ცნობს სასოფლო სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმებს (სარეველა მცენარეებს, მავნებლებს, დაავადებების გამომწვევ მიკროორგანიზმებს) და ფლობს მათგან დაცვის მეთოდებს;
- გაცნობიერებულია აქ:
- სასოფლო სამეურნეო უსაფრთხო პროდუქციის მოყვანის პრინციპები და ის საფრთხეები, რომელიც დაკავშირებულია მცენარის ქიმიკატების და სასუქების მეცნიერულად დაუსაბუთებელი გამოყენების შემთხვევაში;





- ნიადაგის ეროზიის, გამჟავების, დამლაშების გამომწვევი მიზეზები და ფლობს მათთან ბრძოლის მეთოდებს.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – ფლობს სასოფლო სამეურნეო კულტურების მოყვანის თანამედროვე მეთოდებს. შეუძლია აგროსფეროში მომუშავე სტრუქტურების მუშაობის ორგანიზება და მართვა, საწარმოო პროცესების დაგეგმვა და განხორციელება. შეუძლია შეაფასოს მცენარის ფიზიოლოგიური მდგომარეობა და დაადგინოს მცენარის მოთხოვნები საარსებო პირობების მიმართ. შეარჩიოს კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად სასოფლო სამეურნეო მანქანა დანადგარები და შეიმუშავოს მათი გამოყენების გეგმა-გრაფიკი. დაგეგმოს და განახორციელოს ნიადაგდაცვითი ღონისძიებები. მეურნეობის ძირითადი საქმიანობის მიმართულების გათვალისწინებით შეიმუშავოს თესლბრუნვის სისტემა, დაადგინოს მასში სასოფლო სამეურნეო კულტურების თანმიმდევრობა და აგროტექნიკა. გაითვალისწინოს სავარგულის ნიადაგური, კლიმატური პირობები, სასოფლო სამეურნეო კულტურების თავისებურებანი და შეიმუშავოს განოყიერების სიტემები, სასუქების ნორმების, ფორმების, ხერხების და ვადების მითითებით;

**დასკვნის უნარი** – სტატისტიკის მეთოდების (რეგრესიული, კორელაციური ანალიზი) გამოყენებით გაანალიზოს ღონისძიებების ეფექტურობა. სარეველა მცენარეების და მავნებლების გავრცელების პროგნოზირება და რიცხვის დადგენა. მეურნეობის ფინანსური, რესურსული მდგომარეობის გათვალისწინებით დაადგინოს პოტენციური საქმიანობის მასშტაბები. შეუძლია არსებული ლიტერატურიდან და ელექტრონული წყაროებიდან ექსპერიმენტული მონაცემებისა და ინფორმაციის მოძიების უნარი და ამის საფუძველზე ადეკვატური და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა;

**კომუნიკაციის უნარი** – შეძლებს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;

**სწავლის უნარი** – შეძლებს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას; თავისი შესაძლებლობების შეფასებას, დროის მაქსიმალურად და ეფექტურად გადანაწილებას.



	<p><b>ღირებულებები</b> – აგრარულ სფეროში ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა, ყველა სახის პროფესიულ საქმიანობაში, კოლეგებთან თანამშრომლობით პროფესიასთან დაკავშირებული ფასეულობების, ეთიკური პასუხისმგებლობებისა და ღირებულებების დამკვიდრება.</p>
	<p><b>შეფასების წესი</b></p>
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>(A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;</li> <li>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;</li> <li>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;</li> <li>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.</li> </ul> <p>• უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p><b>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)</b> ვლადიმერ დოლიძე/ 557 267 044/ <a href="mailto:v.dolidze@gtu.ge">v.dolidze@gtu.ge</a>/ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. 0192 ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. № 17 კორპ. 11</p>	



<b>ბაკალავრიატი საგანმანათლებლო პროგრამა</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება მევენახეობა და ენოლოგია</b>	
	<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>
	240
	<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>
	აგრარული მეცნიერება
	<b>სწავლების ენა</b>
	ქართული
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>
	<p>მოამზადოს მევენახეობისა და ენოლოგიის დარგის სპეციალისტები, რომელთაც ვენახის აგრო-ტექნოლოგიური ღონისძიებების, საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური და ფიზიკურქიმიური პროცესების გააზრების, მათ წარმართვაში მონაწილეობით მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ექნება ყურძნის მოყვანისა და ღვინის წარმოების სექტორში მოღვაწეობის და კარიერის განვითარების შესაძლებლობა. შეასწავლოს მევენახეობის და ენოლოგიის ძირითადი პრინციპები და ელემენტები, ყურძნიდან ღვინის წარმოების სხვადასხვა მეთოდები, მევენახეობის წარმოებაზე, ღვინის ხარისხზე, შედგენილობაზე მოქმედი ფაქტორები, ყურძნის მოყვანის წესები, წარმოების ეკონომიკური ასპექტები, დარგის რეგულირების ამოცანები და მევენახეობისა და ენოლოგიისათვის დადგენილი მოთხოვნები. მისცეს საწარმოს ლაბორატორიაში მუშაობისათვის საჭირო პრაქტიკული გამოცდილება.</p>
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b>
	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b> – მევენახეობისა და ენოლოგიის დარგის ფართო ცოდნა. ყურძნის მოყვანის ძირითადი პრინციპების: ვაზის ზრდა განვითარებისას მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების, ვაზის დაავადებებისაგან დაცვის და ნიადაგის განაყოფიერებისათვის საჭირო აგრო-ტექნიკური ღონისძიებების ცოდნა და გაცნობიერება. ვაზის ძირითად ჯიშების ცოდნა. ყურძნისეული წარმოების ალკოჰოლური სასმელების წარმოების ძირითადი პრინციპების:</p>



ტექნოლოგიური ოპერაციების, მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესების, გამოყენებულ მანქანა აპარატების და მასალების ცოდნა. პროდუქციის ხარისხზე მოქმედი ფაქტორების: ნიადაგის, კლიმატის, ეკოლოგიური ფაქტორები, ნედლეულის შედგენილობის, ტექნოლოგიური მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად: სავენახე ნაკვეთის შერჩევაში, ნერგის წარმოებაში, ვენახის გაშენებაში, ყურძნის მოყვანისათვის საჭირო აგროტექნოლოგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის უნარი; რთველის განხორციელებაში, ყურძნის გადამუშავებასა და ღვინოპროდუქციის წარმოებაში მონაწილეობის უნარი. ტექნოლოგიური პროცესების ცალკეულ ეტაპებზე, ტკბილის, ღვინომასალის და ღვინის, მისგან წარმოებული მაღალალკოჰოლური სასმელების ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების განსაზღვრის და ორგანოლექტიკური შეფასების უნარი; ვენახსა და საწარმოში გამოყენებული მანქანა აპარატების ოპერირები უნარი.

**დასკვნის უნარი** – მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროსათვის დამახასიათებელი, ნედლეულის და პროდუქციის რაოდენობის, ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობის, გამოყენებული მასალების და საშუალებების, ბაზრის მოთხოვნების მონაცემების შეგროვება და განმარტება. მევენახეობა-ენოლოგიის დარგში, ყურძნისა და ალკოჰოლური სასმელების ბაზარზე არსებული მდგომარეობის, ვენახსა და საწარმოში შექმნილი სიტუაციების, პროდუქციის დარგის მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის ანალიზისა და არსებულ მდგომარეობაზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;

- **კომუნიკაციის უნარი** – ყურძნის მოყვანასა და მისგან პროდუქციის წარმოებაზე საკუთარი იდეების, დარგში, ვენახსა და საწარმოში, პროდუქციის ბაზარზე, წარმოების რეგულირებაში, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება: პრეზენტაციების, მონაცემთა ბაზების, სავარაუდო რისკებზე და მოსალოდნელ შედეგებზე ვიზუალური მასალების მომზადება;

- **სწავლის უნარი** – მევენახეობა-ენოლოგიის დარგში მოღვაწეობისათვის და კარიერის განვითარებისათვის შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; საკუთარი სწავლის პროცესის



	<p>თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნაზე ორიენტირება: ლიტერატურული წყაროების მოძიება, სასწავლო მასალებზე დამოუკიდებლად მუშაობა, დარგობრივი მასალის გაგება-ათვისება, პრაქტიკული საქმიანობით თეორიული ცოდნის გაღრმავება.</p> <p>- <b>ღირებულებები</b> – მევენახეობა-ენოლოგიის დარგში დამკვიდრებული ღირებულებების პატივისცემა. მეღვინეობის დარგში წინაპართა ტრადიციებსა და ისტორიაზე დაფუძნებული, თანამედროვეობასთან შერწყმული ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.</p>
	<p><b>შეფასების წესი</b></p>
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>(A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;</li> <li>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;</li> <li>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;</li> <li>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.</li> </ul> <p>• უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის</p>



	საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <a href="http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf">http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf</a> .
<p>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი) დავით მაღრაძე/ 593 341026/ <a href="mailto:david.maghradze@gmail.com">david.maghradze@gmail.com</a>/სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. 0192 ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. № 17 კორპ. 11 მარიამ ხომასურიძე/ 577 44 00 04; 599960004 / <a href="mailto:marika_kh@mail.ru">marika_kh@mail.ru</a> სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. 0192 ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. № 17 კორპ. 11</p>	



<b>ბაკალავრიატი საგანმანათლებლო პროგრამა</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება მეცხოველეობა</b>	
	<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>
	240
	<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>
	მეცხოველეობის ბაკალავრი
	<b>სწავლების ენა</b>
	ქართული
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მეცხოველეობის ბაკალავრი, რომელიც მიიღებს თეორიულ და პრაქტიკულ განათლებას მეცხოველეობაში, კერძოდ ცხოველთა და ფრინველთა მოვლა-შენახვის, მოშენების, კვების, რეპროდუქციის შესახებ. ასევე შეისწავლის მეცხოველეობის პროდუქციის გადამამუშავების ტექნოლოგიების, პროდუქციის წარმოებისა და შესაბამისი პროცესების მართვის სფეროს. მიღებული განათლების საფუძველზე კურსდამთავრებულები შეძლებენ სოფლის მეურნეობის, კერძოდ მეცხოველეობის სფეროში მუშაობას, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე აგროტექნიკური ინოვაციებით.
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b>
	<p>- <b>ცოდნა და გაცნობიერება</b> –მეცხოველეობის დარგის სიღრმისეული ცოდნა , რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების ერთობლიობას, მეცხოველე სპეციალისტი აცნობიერებს მიღებული ცოდნის საფუძველზე მეცხოველეობის დარგის მნიშვნელობას და მის შემდგომი განვითარების აუცილებლობას.</p> <p>- <b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b> – მეცხოველეობის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად. სოფლის მეურნეობაში , კერძოდ მეცხოველეობაში კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის</p>



	<p>განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და მათი დანერგვის კონკრეტული გზების ძიება. ;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- <b>დასკვნის უნარი</b> –მეცხოველეობის- სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება დამუშავება, მათი განმარტება და იმ გზების ძიების დადგენა დასკვნის სახით, რომელიც უფრო რენტაბელურია აღნიშნულ დარგში. ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი მეცხოველეობის სფეროში, რომელიც ითხოვს მეტ კონკრეტიკას და დასკვნის დასაბუთებულ ჩამოყალიბებას შემდგომი განვითარებისათვის .</li> <li>- <b>კომუნიკაციის უნარი</b> – მეცხოველე სპეციალისტი ამ სფეროში შეძლებს არსებული პრობლემების გადაჭრის გზების დეტალური წერილობითი ანგარიშის გაკეთებას, რომელის გამოტანაც არ უნდა გაუჭირდეს ფართო სპექტრში, უნდა დაამყაროს ამავე დარგის მუშაკებთან კომუნიკაცია და გასცეს ინფორმაცია წამოჭრილ საკითხებზე ქართულ და უცხოენებზე. მეცხოველე სპეციალისტმა ფართოდ უნდა გამოიყენოს კომუნიკაციისთვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.</li> <li>- <b>სწავლის უნარი</b> – მეცხოველე სპეციალისტი ახდენს შეძენილი სწავლის თანმიმდევრობის შეფასებას და ასევევ ნასწავლი მასალის კონსოლიდაციას. იგი ყოველთვის უნდა ახდენდეს ეტაპობრივად ამავე სფეროში სწავლის გაღრმავებას და ახალი მიღწევების გაცნობა-ათვისებას მეცხოველეობის დარგში. <b>ღირებულებები</b> – მეცხოველე სპეციალისტი უნდა მონაწილეობდეს ღირებულების შექმნის პროცესში, რომელიც მეცხოველეობის დარგს ეხება, რათა მან გარკვეული წვლილი შეიტანოს ამ დარგში.</li> </ul>
	<p><b>შეფასების წესი</b></p>
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>(A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;</li> <li>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;</li> </ul>





	<ul style="list-style-type: none"> <li>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;</li> <li>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.</li> <li>• უარყოფითი შეფასებებია: <ul style="list-style-type: none"> <li>(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</li> <li>(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</li> </ul> </li> </ul>
<p><b>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)</b> მანანა ცინცაძე/ 599 64 14 30/  <a href="mailto:cincadzemanana@yahoo.com">cincadzemanana@yahoo.com</a>/ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. 0192 ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. № 17 კორპ. 11</p>	



<b>ბაკალავრიატი საგანმანათლებლო პროგრამა</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია</b>	
	<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>
	240
	<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>
	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში (Bachelor of engineer/in agroengineering)
	<b>სწავლების ენა</b>
	ქართული
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>
	მომზადოს კონკურენტუნარიანი მღალკვალიფიციური საინჟინრო-საპროექტო ცოდნის მქონე დინამიკურად ცვალებად გარემოში ორიენტირებული აგროინჟინერი, როგორც განათლების შემდგომი საფეხურისთვის, ასევე დასაქმების ფართო ბაზრისთვის, რომელსაც ეცოდინება ნიადაგების დაცვა და მისი ნაყოფიერების ამაღლება, ბუნებრივი წყლის რესურსების ხარისხის დაცვა-გაუმჯობესება და ინტეგრირებული მართვა, თანამედროვე აგროსაინჟინრო სისტემების დაპროექტება-ექსპლუატაცია ბუნებრივ-ანთროპოგენური რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით.
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b>
	<b>ცოდნა და გაცნობიერება:</b> საინჟინრო ამოცანების გადასაწყვეტად ეცოდინება მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და მიკრობიოლოგიის, ნიადაგმცოდნეობის ფუნდამენტალური თეორემები, პრინციპები და მეთოდები. გარემოს დაცვის ინჟინერიის საფუძვლები, საინჟინრო ჰიდროლოგია და ჰიდრაულიკა, საინჟინრო გეოლოგია და გარემოს დაცვა, ნიადაგების და წყლის დაცვის სისტემების დაპროექტების მეთოდები, მონიტორინგის პრინციპები. ეცოდინება ელექტროენერჯისა და ელექტროხელსაწყოების გამოყენება აგრომრეწველობაში. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფუნქციონალური ანალიზი და მოდელირების მეთოდოლოგია. გააცნობიერებს გარემოს დამცავი ღონისძიებების დაგეგმვას და კვების პროდუქტების ხარისხის



უზრუნველყოფას.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:** შეძლებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ინჟინერიაში დიდი მოცულობის მქონე მონაცემთა სტატისტიკური მეთოდებით დამუშავებას და მათი პრაქტიკაში გამოყენებას „Auto Cad“-ის პროგრამული უზრუნველყოფით საინჟინრო ამოცანების ამოხსნას; ჰიდროლოგიური მონაცემების აღქმას, ანალიზს და ინტერპრეტაციას; სითხეების სტატიკის და დინამიკის ძირითადი ცნებების, განტოლებების და კანონების პრაქტიკაში გამოყენებას; ნიადაგისა და წყლის მონიტორინგის სისტემების ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის მაჩვენებლების განსაზღვრას; კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად მარტივი ლოგიკური სქემების შექმნას; ფასწარმოქმნისა და წარმოების მოცულობის განსაზღვრას.

**დასკვნის უნარი:** ექნება აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზის, სინთეზის, პრობლემის იდენტიფიცირების, დასმის, გაანალიზების და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; შესასრულებელი სამუშაოს გააზრებისას, მარტივი შეცდომების გამოვლენისას, ტექნიკური ლიტერატურის დახმარებით, ამ შეცდომების გაანალიზებისას შესაბამისი დასკვნების გამოტანის უნარი; ბუნებრივი რესურსების დამცავი ღონისძიებების შესამუშავებლად ალტერნატიული ვარიანტის ინჟინრული ანალიზის და შეფასების ხედვა. ნიადაგისა და წყლის რესურსების ექსპერტიზისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

**კომუნიკაციის უნარი:** პროექტირების პროცესში ზეპირსიტყვირად და წერით საკუთარი აზრის, მსჯელობის და დასკვნების ნათლად ჩამოყალიბება; ფართო ტექნიკური აუდიტორიის წინაშე პროექტის მიმდინარეობის ეტაპობრივი ანგარიშების და საპროექტო წინადადებების წარდგენა და პრეზენტაცია; სპეციალისტებისათვის და არასპეციალისტებისათვის წერითი და ზეპირი ანგარიშების მისაღები ფორმით მიწოდება; მიზნობრივი საჯარო სიტყვის სხვადასხვა ტიპის აუდიტორიის წინაშე პრეზენტაცია და პიროვნებათაშორისი კომუნიკაციების დამყარება;

**სწავლის უნარი:** საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება; საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ, პროფესიული კარიერის განვითარების მიზნით, სწავლის საჭიროებების დადგენა და პროცესის გაგრძელება. წყალთამეურნეობის სფეროში ახალი ცოდნის მიღების და საკუთარი სწავლის პროცესის საჭიროებების დადგენა; სწავლის საშუალებების მოძიება, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების



	<p>საფუძველზე შემდგომი სწავლის სტრატეგიულად დაგეგმვა და წარმართვა;</p> <p><b>ღირებულებები:</b> პროფესიული ეთიკის ძირითადი კანონების დაცვით მოქმედება; აგროინჟინერის პროფესიული ქცევის, ეთიკური პასუხისმგებლობის და ღირებულებების (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, ორგანიზებულობა და სხვა) დასამკვიდრებლად სწრაფვა. კრიტიკულ არაპროგნოზირებად სიტუაციებში აგროინჟინერის პროფესიული ქცევის და ეთიკის ნორმების დაცვა; საკუთარი და კოლეგების პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა, მათ მიმართ დამოკიდებულების დაფასება და დასამკვიდრებლად სწრაფვა;</p>
	<p><b>შეფასების წესი</b></p>
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>(A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;</li> <li>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;</li> <li>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;</li> <li>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.</li> </ul> <p>• უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p><b>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)</b> ლალი ახვლედიანი / 577 118588 / <a href="mailto:laliakhvlediani7@gmail.com">laliakhvlediani7@gmail.com</a> / სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. 0192 ქ.</p>	



<b>ბაკალავრიატი საგანმანათლებლო პროგრამა</b>	
<b>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება სასურსათო ტექნოლოგია</b>	
	<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>
	240
	<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>
	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Food Technology
	<b>სწავლების ენა</b>
	ქართული
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>
	პროგრამის მიზანია მოამზადოს სასურსათო ტექნოლოგიის დარგის სპეციალისტები, რომლებიც შეისწავლიან სასურსათო ტექნოლოგიაში პურპროდუქტების, შაქრის, სპირტის, საკონდიტრო, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, ხორცისა და რძის პროდუქტების, საკონსერვო წარმოებას; სასურსათო პროდუქტა წარმოების ტექნოლოგიური სქემები, წარმოებისას მიმდინარე ფიზიკო-ქიმიური პროცესები, გამოყენებული ნადლეულის დახასიათება, სასურსათო პროდუქტების ფიზიკო-ქიმიური ანალიზი.
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b>
	<b>ცოდნა და გაცნობიერება</b> — სასურსათო ტექნოლოგიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სასურსათო ტექნოლოგიის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება; სასურსათო ტექნოლოგიის ძირითადი სფეროების ურთიერთკავშირის გაცნობიერება. სასურსათო ტექნოლოგიის ტერმინოლოგიის



	<p>ცოდნა.ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობების უსაფრთხო მუშაობის მეთოდებისა და საშუალებების, მოწყობილობების და სისტემების მომსახურების და ექსპლუატაციის ნორმების ცოდნა, გარემოს დაცვის, შრომის უსაფრთხოების ნორმატიულ-ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების ცოდნა და გაცნობიერება; ბუნებრივი ნედლეულის გადამუშავების ეკონომიკური მეთოდების და საშუალებების დაუფლება;</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>– სასურსათო ტექნოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; სასურსათო ტექნოლოგიაში გამოყენებული აპარატების, მანქანა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაცია, ტექნოლოგიური პარამეტრების დაცვა. სასურსათო ტექნოლოგიის ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებაში მონაწილეობა, პროდუქციის ხარისხის კონტროლის თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება; განსაზღვრული მითითებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად ინოვაციური მეთოდების, თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების დანერგვაში მონაწილეობა; სასურსათო ტექნოლოგიაში გამოყენებული სხვადასხვა წარმოშობის ძირითადი და დამხმარე ნედლეულის შენახვისა და ტექნოლოგიური პროცესისათვის მომზადების რეჟიმისა და პირობების დაცვა. კვლევითი ცალკეული კომპონენტების განხორციელება წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების და მითითებების შესაბამისად; ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების უსაფრთხო და გარემოს დაცვითი მოთხოვნებით ექსპლუატაცია; ტექნოლოგიურ პროცესებში მენეჯერული და მარკეტინგული ხასიათის წინადადებების გათვალისწინება.</p> <p><b>დასკვნის უნარი</b>– სასურსათო ტექნოლოგიისათვის დამახასიათებელი მონაცემების – ნედლეულის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები, ტექნოლოგიური რეჟიმის პარამეტრები, პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება და წარმოების რენტაბელობა– შეგროვება, განმარტება და ანგარიშის მომზადება. მიღებული მონაცემების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; ტექნოლოგიის ცალკეული სტადიების ოპტიმალური შეფასება, რისკ-ფაქტორებზე რეაგირება და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება.</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი</b>– სასურსათო ტექნოლოგიის ირგვლივ არსებული იდეებისა და</p>
--	---



	<p>პრობლემების, ასევე არსებული პრობლემების აღმოფხვრის შესახებ დეტალური ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;</p> <p><b>სწავლის უნარი</b>– საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; სწავლის მიმართულების განსაზღვრა შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.</p>
	<p><b>შეფასების წესი</b></p>
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>(A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;</li> <li>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;</li> <li>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;</li> <li>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.</li> </ul> <p>• უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია თანდართული სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).</p>



საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი) თეიმურაზ რუხაძე/ 577 755373/ [rukhadze@list.ru](mailto:rukhadze@list.ru)/ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. 0192 ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. № 17 კორპ. 11

ბაკალავრიატი საგანმანათლებლო პროგრამა	
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება სატყეო საქმე	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	240
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	სატყეო საქმის ბაკალავრი (Bachelor of the Forestry)
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	<p>პროგრამის მიზანია მოამზადოს სატყეო საქმის დარგის კურსდამთავრებული, რომელსაც ტყის ეკოსისტემების მოვლისა და კვლავწარმოების, ძირითადი ტყისშემქმნელი სახეობების კორომებში ბუნებრივი განახლების, სახეობათა ცვლისა და სხვა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პროცესების მართვის გააზრების, მათ წარმართვაში მონაწილეობით მიღებული გამოცდილების საფუძველზე ექნება ტყეების ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ოპტიმიზაციის სფეროში მოღვაწეობის და კარიერის განვითარების შესაძლებლობა. შეასწავლოს, როგორც ბუნებრივ, ისე კულტურცენოზებში ეფექტური სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებისა და ტყეების ნიადაგდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, წყალშენახვითი, კურორტოლოგიურ-ბალნეოლოგიური და სხვა სასარგებლო ფუნქციების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების</p>





	<p>უზრუნველყოფისათვის საჭირო პრაქტიკული გამოცდილება.</p>
	<p><b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b></p> <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b> – სტუდენტი შეიძენს ცოდნას საქართველოს ტყეებისა და მათი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ოპტიმიზაციის შესახებ; გააცნობიერებს სახელმწიფო და დაცული ტერიტორიების ტყის ფონდის მიწებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ეროზირებული ფართობების მონიტორინგისა და საპრევენციო სატყეოსამელიორაციო ღონისძიებების განხორციელების სპეციფიკას.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b> – სტუდენტს ექნება ტყეების ფიტოსანიტარული მდგომარეობის მონიტორინგისა და საპრევენციო ღონისძიებების განხორციელების უნარი. შეძლებს ტყეების სწორი აღრიცხვა-ინვენტარიზაციისა და ზოგადად ტყეთმომწეობის სამუშაოების წარმოებისას მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, სარევიზიო პერიოდში სწორი ტყითსარგებლობის პრობლემის გადაჭრის ორგანიზაციის უზრუნველყოფას. ტყეკაფითი სამუშაოებისა და პიროლოგიური ღონისძიებების დასახვაში მონაწილეობის მიღების უნარი.</p> <p><b>დასკვნის უნარი</b> – ტყეში არადამაკმაყოფილებელი ბუნებრივი განახლების მიმდინარეობის შეფასება და დასკვნის გამოტანა. კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე ტყის ბუნებრივი ეკოსისტემების ხელუხლებელი სახით შენარჩუნებისათვის საჭირო ღონისძიებათა გააზრება და სატყეო საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფის საფუძველზე, ტყეების ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით შესაბამისი დასკვნების შემუშავება.</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი</b> - სტუდენტი შეიძენს სატყეო-სამეურნეო ინფორმაციის სრულყოფილად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარს მშობლიურ და უცხოურ ენაზე (ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული); სატყეო-სამეურნეო სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე საკუთარი მოსაზრების გაზიარების უნარი დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან. სატყეო საქმეში პრეზენტაციების ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი;</p> <p><b>სწავლის უნარი</b> – სტუდენტს ექნება სწავლის მიმართულების განსაზღვრის უნარი შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით; სატყეო-სამეურნეო სფეროში ცოდნის განახლების აუცილებლობის შეფასება. სატყეო საქმეში არსებული უახლესი ინფორმაციის</p>



	<p>ათვისებისა და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.</p> <p><b>ღირებულებები</b> – სატყეო საქმის პრინციპების, ფასეულობებისა და არსებული ღირებულებების გააზრება. სატყეო საქმეში ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში, მათ რეალიზაციასა და დამკვიდრებაში მონაწილეობის მიღება.</p>
	<p><b>შეფასების წესი</b></p>
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>(A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;</li> <li>• (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;</li> <li>• (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;</li> <li>• (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.</li> </ul> <p>• უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად • მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ • ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p><b>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)</b> გიორგი გაგოშიძე/ 577-11-20-04/ 595-22-28-66/ <a href="mailto:giorgigagoshi@mail.ru">giorgigagoshi@mail.ru</a>/ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. 0192 ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. № 17 კორპ. 11</p>	

